

N20 06.06.2019

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრს
ბატონ მიხეილ ბატიაშვილს

პატივცემულო მინისტრო,

მოგესხენებათ, „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს მაღალმთიან დასახლებაში მდებარე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლისათვის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად დანამატის – საჯარო სკოლის მასწავლებლის საბაზო თანამდებობრივი სარგოს არანაკლებ 35 პროცენტის – მიცემას.

„საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 28 სექტემბრის №126/ნ ბრძანების ამჟამად მოქმედი რედაქციით, 2016 წლის 18 აპრილიდან საბაზო თანამდებობრივი სარგო უტოლდება 405 ლარს (მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი), შესაბამისად, მისი 35% (დანამატის მინიმალური ოდენობა) 142 ლარი უნდა იყოს. რეალობაში მასწავლებელთა დიდი ნაწილი ამ ოდენობის დანამატს ვერ იღებს, რაც ნათლად ჩანს შემდეგი გაანგარიშებიდან:

2018 წელი	მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლებში მომუშავე მასწავლებლების რაოდენობა	ხარჯი მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლის მასწავლებლის თანამდებობრივ სარგოზე დანამატის 142 ლარის ოდენობით გაცემის შემთხვევაში, ლარი	მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლის მასწავლებლის თანამდებობრივ სარგოზე გაცემული დანამატი (ფაქტიური ხარჯი, ლარი)	სხვაობა, ლარი
იანვარი	12,886	1,829,812	1,189,182	640,630
თებერვალი	12,859	1,825,978	1,191,520	634,458
მარტი	12,911	1,833,362	1,189,252	644,110
აპრილი	12,855	1,825,410	1,191,660	633,750
მაისი	12,849	1,824,558	1,198,324	626,234
ივნისი	12,896	1,831,232	1,218,514	612,718
ივლისი	12,842	1,823,564	1,417,579	405,985
აგვისტო	12,754	1,811,068	974,778	836,290
სექტემბერი	12,943	1,837,906	1,209,576	628,330
ოქტომბერი	12,938	1,837,196	1,222,158	615,038
ნოემბერი	12,954	1,839,468	1,227,864	611,604
დეკემბერი	12,992	1,844,864	1,247,055	597,809
ჯამი		21,964,418	14,477,462	7,486,956

ამდენად, კანონით განსაზღვრულ, „საბაზო თანამდებობრივი სარგოს არანაკლებ 35 პროცენტის ოდენობის“ დანამატს მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლებში მომუშავე მასწავლებლები ვერ იღებენ, რამდენადაც ფაქტობრივად გასაცემი მისი ოდენობა, მინისტრის ბრძანებით, დაკავშირებულია მასწავლებლის საათობრივ დატვირთვასთან. კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 4 ოქტომბრის № 130/ნ ბრძანებით „საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 28 სექტემბრის №126/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალურ ოდენობასა და პირობებს დაემატა 8¹ მუხლი, რომლითაც მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლის მასწავლებლის თანამდებობრივ სარგოზე დანამატი განისაზღვრა 142 ლარის ოდენობით, ის არ არის დამოკიდებული მასწავლებლის განათლებაზე ან/და კვალიფიკაციაზე ან/და სამუშაო სტაჟზე, მაგრამ აღნიშნული ოდენობით დანამატი მასწავლებელს ეძლევა მხოლოდ სრული დატვირთვის შემთხვევაში.

აღნიშნული ბრძანებით დადგენილი წესი, რომლითაც მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლებში მომუშავე მასწავლებლების დანამატის ოდენობა დაუკავშირდა მათ სრულ დატვირთვას, არ შეესაბამება „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით დადგენილი ნორმის მიზანს, რომ დაწესებულებიყო ქმედითი სოციალური შეღავათი მაღალმთიანი დასახლების სკოლებში არსებული საკადრო დეფიციტის შემცირებისა და სპეციალისტების ადგილზე დამაგრებისათვის მოტივაციის შესაქმნელად.

მაგალითად, თუ მაღალმთიან დასახლებაში მდებარე სკოლაში კონკრეტული საგნის სწავლებაში სერტიფიცირებული კადრის მოზიდვა/შენარჩუნება გვსურს, მაგრამ, ობიექტურად, არ არის ამ საგანში პედაგოგის სრულად დატვირთვისთვის საკმარისი საათების რაოდენობა, მაშინ ამ გარემოებით გამოწვეული ისედაც მცირე ანაზღაურების პარალელურად მაღალმთიან სკოლაში მუშაობისთვის დანამატის პროპორციული შემცირება კიდევ უფრო ამცირებს ფინანსური სტიმულის ეფექტურობას, რომელიც სკოლისათვის საჭირო კადრის ადგილზე დამაგრებისთვის არის გამიზნული.

მაღალმთიანი დასახლებების სკოლებში არასრული დატვირთვის პირობებში მომუშავე მასწავლებლების რაოდენობა რომ საკმაოდ დიდია, ზემოთ მოყვანილი გაანგარიშებიდან ჩანს, წინააღმდეგ შემთხვევაში სხვაობა გასაცემ 142-ლარიან დანამატს ჯამურ ოდენობასა და დანამატების გაცემაზე გაწეულ ფაქტობრივ ხარჯს შორის არ იქნებოდა ასეთი მნიშვნელოვანი (თვეში, საშუალოდ, 624 ათასი ლარი).

გარდა ამისა, მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლებში მომუშავე მასწავლებლების დანამატის ოდენობის მათ სრულ დატვირთვასთან დაკავშირება წინააღმდეგობაში მოდის კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტში არსებულ ჩანაწერთან, რომელიც ადგენს, რომ დანამატის ოდენობა არ უნდა იყოს მასწავლებლის საბაზო თანამდებობრივი სარგოს 35 პროცენტზე ნაკლები. სიტყვით „არანაკლებ“ კანონმდებელმა დაადგინა სოციალური შეღავათის მინიმალური ოდენობა, ხოლო მინისტრი უფლებამოსილი იყო, საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების წესით დაედგინა დანამატის ოდენობა კანონის ნორმაში მოყვანილი პირობის დაცვით, ანუ, დანამატი არ უნდა ყოფილიყო საბაზო თანამდებობრივი სარგოს 35%-ზე (ანუ, 142 ლარზე) ნაკლები არც ერთ შემთხვევაში.

თქვენს ყურადღებას მივაპყრობთ იმ გარემოებაზე, რომ კანონი თავად ახდენს დანამატის მინიმალური ოდენობის დადგენისა და შრომის ანაზღაურების მოცულობასთან მისი დაკავშირების შემთხვევების დიფერენცირებას: იმავე პუნქტით დადგენილია მაღალმთიან დასახლებაში მდებარე, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების


მასწავლებლისათვის შრომის ანაზღაურების არანაკლებ 35 პროცენტის ოდენობით დანამატის მიცემა. ამდენად, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლისათვის კანონმა დაადგინა დანამატის ოდენობის დამოკიდებულება მისი შრომის ანაზღაურების ოდენობაზე, ხოლო **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლისათვის დადგენილია დანამატის მინიმალური ოდენობა, რომელიც საბაზო თანამდებობრივი სარგოს ოდენობიდან იანგარიშება და უნდა ეძლეოდეს ყველა მასწავლებელს, მისი საათობრივი დატვირთვის მიუხედავად.**

ამდენად, კანონის კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტში ნორმა არასწორად იქნა ინტერპრეტირებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 4 ოქტომბრის № 130/ნ ბრძანებით საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალურ ოდენობასა და პირობებში დამატებული 8¹ მუხლის პირველი პუნქტით. ვთვლით, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან წელიწადში 7,5 მილიონ ლარამდე თანხის ამ ხერხით დაზოგვა არ უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფოს მიერ მაღალმთიანი რეგიონების განვითარების და მაღალმთიან დასახლებებში რთულ პირობებში მომუშავე მასწავლებელთა მხარდაჭერის დეკლარირებულ მიზნებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოგმართავთ ინიციატივით, შეიტანოთ ცვლილება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 28 სექტემბრის №126/ნ ბრძანების (www.matsne.gov.ge, 28/09/2015, სარეგისტრაციო კოდი: 270090000.22.022.017033) პირველი მუხლით დამტკიცებულ, საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების 8¹ მუხლის პირველ პუნქტში და ამ პუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „სრული დატვირთვის შემთხვევაში“, აღნიშნული კანონქვემდებარე აქტის კანონის მიზნებთან და შინაარსთან თანხვედრაში მოყვანის მიზნით.

იმედი გვაქვს თქვენი გულისხმიერების,

პატივისცემით,



გიორგი აბულაძე,

თავმჯდომარე